განკარგულება:**g-31. 31240865**
თარიღი:**26/03/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №17

2024 წლის 26 მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 16 დეკემბრის N008750222 და 2024 წლის 7 მარტის N001255424 ექსპერტის დასკვნების საფუძველზე,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, ერთ ლოტად გაერთიანდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში - 27.06.56.166 და 27.06.56.857 საკადასტრო კოდებზე არსებული უძრავი ქონება. აღნიშნული ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, განსაზღვრული ვადით, (7 წლის ვადით) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს, უძრავი ქონების საერთო ღირებულების 139 914 (ასოცდაცხრამეტიათას ცხრაას თოთხმეტი) ლარის 15 %-ით, რაც შეადგენს 20 987,1 (ოციათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი ლარი და ათი თეთრი) ლარს.

მუხლი 2. პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ბიჯის სიდიდე განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ და შეადგენს ქონების საწყისი ქირის საფასურის 2.39 %-ს , დაახლოებით 500 (ხუთასი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი